



83-01-4-201404231202



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

№ 01-83; 23/04/2014

ქ. თბილისი

**საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთათვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია თანდართული სახით.
2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. ბუკია) უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს სისტემის თანამშრომელთათვის გაცნობა.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ზალკალიანი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

**საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული  
ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს საგარეო საქმეთა  
სამინისტროს სისტემის თანამშრომელთათვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია**

**მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი**

ამ ინსტრუქციის მიზანია საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და ამ ვალდებულებების დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემის (შემდგომში - სამინისტროს) თანამშრომელთათვის გაცნობა და მათთვის სახელმძღვანელო მითითებების მიცემა.

**მუხლი 2. არჩევანის თავისუფლება**

არჩევნების დღეს კენჭისყრა არის ფარული. არჩევანის თავისუფლება უზრუნველყოფილია საჯარო მოსამსახურისათვის.

**მუხლი 3. საარჩევნო ადმინისტრაციაში/დამკვირვებლად საქმიანობა**

1. „საჯარო მოსამსახურეში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამინისტროს თანამდებობის პირები არ შეიძლება აირჩნენ/დაინიშნონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად.

2. სხვა საჯარო მოხელის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, საჯარო მოხელეს დროებით უნდა შეუჩერდეს უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილას, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანაზღაურების გარეშე შვებულება ან კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად.

3. სამინისტროს თანამშრომლები არ შეიძლება იყვნენ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლები.

**მუხლი 4. საარჩევნო აგიტაცია და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება**

1. სამინისტროს თანამშრომელს (გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) არ აქვს უფლება, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში.

2. აკრძალულია სამინისტროს შენობაში და მის მიმდებარედ წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება. ასევე, აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა სამინისტროს ინტერიერსა და ექსტერიერში.

3. სამინისტროს თანამშრომელს წინასაარჩევნო პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რაც გულისხმობს ნებისმიერი ადმინისტრაციული რესურსის, ტელეფონის, ფაქსის, კომპიუტერის, ქაღალდის, ტრანსპორტის, საწვავისა და ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე არსებული სხვა ნებისმიერი ქონების გამოყენებას.

4. იმ თანამშრომელს, რომელსაც აქვს საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება, ეკრძალება:

ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას.

ბ) სამსახურებრივი მივლინების დროს ხელმოწერების შეგროვება და საარჩევნო აგიტაციის გაწევა.

გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება მინისტრსა და მის მოადგილეებზე.

5. აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.

6. არჩევნების დანიშნვიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია:

ა) საარჩევნო სუბიექტებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე, დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გაცემის დაპირებით, რაც გულისხმობს იმას, რომ საჯარო მოხელეს ეკრძალება საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ამ მოქმედების განხორციელება, მათ შორის, არასამუშაო პერიოდში.

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება, ან მომსახურების გაწევა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება, რაც გულისხმობს იმას, რომ საჯარო მოხელეს ეკრძალება (მათ შორის, არასამუშაო პერიოდში), პირადი სახსრებით შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომლის შესრულებაც სახელმწიფო ორგანოს ფუნქციაა.

## **მუხლი 5. პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის**

1. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოთხოვნათა დარღვევისათვის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულია შემდეგი სახის პასუხისმგებლობა:

ა) წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

ბ) წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო-და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირთა მიერ, გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

გ) საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დაწესებულებათა შენობებში, სადაც ეს აკრძალულია, და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

დ) წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას

საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

2. ამ ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობა.